

კონცეფცია

ჩვენი საზოგადოების ევროპული და ევრო-ატლანტიკური არჩევანი საქართველოს კონსტიტუციითაა განმტკიცებული. შესაბამისად, „აჭარის ტელევიზია და რადიო“ ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ ღირებულებებთან ერთად, მუდმივად უნდა იყოს აქცენტირებული ამ ისტორიულ გადაწყვეტილებაზე.

- მედიასაშუალებებისათვის უმნიშვნელოვანეს ღირებულებას წარმოადგენს **სარედაქციო დამოუკიდებლობა**, რაც ბუნებრივია, არ ნიშნავს ჟურნალისტის სრულ დამოკიდებულებას მის ხელმძღვანელზე. სარედაქციო დამოუკიდებლობის უპირველესი მახასიათებელი უნდა იყოს თავად ჟურნალისტის დამოუკიდებლობა, რომელიც ამა თუ იმ სიუჟეტის მომზადების დროს მოქმედებს პროფესიული სტანდარტებითა და საკუთარი სინდისით. ჟურნალისტის კვალიფიკაციის დონის განსაზღვრაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა ეკავოს იმას, თუ რამდენად შეუძლია მას, საზოგადოებას მიაწოდოს ის ობიექტური ინფორმაცია, რომელიც მის პირად სურვილებს და ინტერესებს შეიძლება აზარალებდეს.
- რეგიონულმა ტელევიზიამ, საკუთარი ადამიანური რესურსი განსაკუთრებული ძალისხმევით უნდა გამოიყენოს ადგილობრივი **ინფორმაციის მოძიებაში**, რაც შეეხება სხვა ინფორმაციებს, მათი შევსება სააგენტოების საშუალებით უნდა ხდებოდეს. ამით დაიზოგება მნიშვნელოვანი რესურსი.
- დღევანდელი საზოგადოება მკაცრად სეგმენტირებულია, იმდენად, რომ ერთ მხარეს, მეორის თუნდაც უტყუარი ჭეშმარიტების მოსმენაც კი არ სურს. რეგიონში ეს ველი, როგორც წესი, შედარებით ნაკლებად არის „დაბინძურებული“ და შესაბამისად, „აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“ უფრო მეტი საშუალება აქვს საზოგადოების წიაღში მოიძიოს და ასპარეზზე გამოიყვანოს კვალიფიციური და მიუკერძოებელი ადამიანები, რომლებიც ოპონენტთან **არგუმენტირებული პაექრობის კულტურას** დაამკვიდრებენ და ხელს შეუშლიან საზოგადოების შემდგომ პოლარიზაციას.
- მიმაჩნია, რომ ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მედია საშუალებასთან ეფექტურად უნდა ფუნქციონირებდეს **ეთიკის კომისია**, რომელშიც ტელევიზიის და რადიოს გარდა, წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შემოქმედებითი გაერთიანებები, პედაგოგები, სტუდენტები, წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, სადაც უნდა იმართებოდეს დისკუსიები.
- „აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“ აქვს გარკვეული ტრადიცია, შევიდეს რეგიონის (და არა მხოლოდ რეგიონის) მთიან სოფლებში, თუმცა ეს „შესვლა“

ძირითადად კულტურულ-ეთნოგრაფიულ ხასიათს ატარებს და ნაკლებად ეხება **კონომიკურ ყოველდღიურობას**. საჭიროა მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს მომდევნო დღეს მთიელი კაცი, რამდენად უკავშირდება ის შემოსავლების მიღებას, რა ტიპის პრობლემებს აწყდება ის ამ გზაზე და რამდენად იქნება უპრიანი სახელმწიფოს ჩართულობა ამ პრობლემის გადაწყვეტაში. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად არის მისი საქმიანობა რეგიონში ტურიზმის განვითარების კონცეფციასთან შესაბამისობაში და რამდენად ყავს ან ეყოლება მის მიერ შექმნილ პროდუქტს მომხმარებელი ამ სეგმენტში.

- „აჭარის ტელევიზია და რადიო“ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ **დაგეგმილი პროგრამების განხორციელების პროცესს**. იძლევა თუ არა ის სათანადო შედეგს, რა კორექტირების შეტანა გააუმჯობესებდა მის შედეგიანობას, ხომ არ არის ზოგიერთი მოქმედი პროგრამის შეცვლის ან გაუქმების საჭიროება.
- იმის გათვალისწინებით, რომ აჭარის ტელევიზია განთავსებულია ზღვისპირა ქალაქში და **ტურიზმი**, როგორც ქვეყნისთვის, ისე რეგიონისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, სასურველია, განხორციელდეს ე.წ. „საზაფხულო პროექტი“, რომელიც მოიცავს როგორც ბათუმის ბულვარს, ასევე ქალაქისა და რეგიონის ღირსშესანიშნაობებს, შეიძლება ჰქონდეს შეჯიბრება-კონკურსის ხასიათიც, რომელშიც ჩაერთვებიან ჩამოსული ტურისტებიც.
- აჭარის ტელევიზია კვალში უნდა მისდევდეს ქალაქის და რეგიონის **კულტურულ ცხოვრებას**. მან ხელი უნდა შეუწყოს ნიჭიერი, შემოქმედებითი ადამიანების აღმოჩენას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი არ არიან რაიმე შემოქმედებითი გაერთიანების წევრები. ხშირად ასეთი ადამიანები (ზოგჯერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონენი), ათწლეულების განმავლობაში შეუმჩნეველნი რჩებიან და იგნორირებულია მათი საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობა.
- არის შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები ტელევიზიას ამა თუ იმ მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიან, მედია ყურადღებით უნდა იყოს ამ ინფორმაციის დამუშავების დროს, რათა გამოირიცხოს **მიკერძოებულება** და არ იქნეს გამოყენებული ვიწრო პარტიული ინტერესების გასატარებლად.
- საჭიროა, შეიქმნას ცალკეული გადაცემების **რეიტინგის გაზომვის** სანდო საშუალებები და ის არ უნდა იყოს მიზმული რამოდენიმე ადამიანის გემოვნებაზე. ამ მხრივ, ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭომ და მენეჯმენტმა სასურველია გამართოს შეხვედრები მოსახლეობასთან მუნიციპალიტეტების მიხედვით.

- მედიაში აქტიურად უნდა იყოს წარმოდგენილი *არასამთავრობო სექტორისა* და სხვადასხვა გაერთიანებების პოზიციები და შეფასებები, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული დაოსტატებული ორგანიზაციები მიზანმიმართულად აყალიბებენ ვითომ დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა შემდეგ ისინი გამოიყენონ თვითნათი (ხშირად არაჯანსაღი) მიზნებისათვის. ამიტომ, ტელევიზიამ შეიძლება ჯერ დააინტერესოს და შემდეგ ასწავლოს ადამიანებს სხვადასხვა ტიპის გაერთიანებების შექმნის მექანიზმები, რათა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ექსკლუზიური უფლება არ დარჩეს დიდწილად მიკერძოებული ორგანიზაციების ხელში.
- **უმცირესობებზე** მომზადებული სიუჟეტები თავისუფალი უნდა იყოს ტრაფარეტული მიდგომებისაგან. უმჯობესია, მაყურებელს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით ვაჩვენოთ უმცირესობის წარმომადგენელი რამდენ სულიერ და ფიზიკურ ტკივილს განიცდის იმის გამო, რომ ვერ ახერხებს საკუთარი თავის რეალიზაციას ცხოვრების იმ წესით, რომელიც უმრავლესობისათვის არის დამახასიათებელი. ასეთ შემთხვევაში ტოლერანტობა უფრო მეტად იქნება მიღწევადი.
- როგორც ცნობილია, „აჭარის ტელევიზიას“ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული გერმანულ არხ „დოიჩე ველესთან“ და შესაბამისად ხდება მათ მიერ მომზადებული სამეცნიერო და კულტურული ხასიათის სიუჟეტების თარგმნა და ეთერში პერიოდულად გაშვება. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში მედია სტანდარტი ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, სასურველია, ის მოიცავდეს საინფორმაციო გადაცემებსაც, სადაც კარგად გამოჩნდება, როგორ მოქმედებენ ჩვენი *ევროპელი კოლეგები*, ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების დროს.

ევგენი თავდგირიძე